№ 51. 7 მარტი, ოთხშაბათი. 1866—1884 7 მარტი, ოთხშაბათი. № 51.

«დროების» რედაქცია —სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ; 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ უნებს აკლორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

„დროების“ ფასი პირველის მარტიდამ წლის დამლევამდე 8 მანათი.

**ბოლის მაზრის მხმარებელთა საზოგადოების გამგეობა ეცხადებს ბ.ბ. საზოგადოების წევრთა, რომ 18 მარტს გორის ქალაქის გამგეობის დარბაზში იქნება ჩვეულებრივი კრება განსახილველად წლიური ანგარიშისა და საზოგადოების შემდეგი მოქმედებისა. (6—3)**

## შინაური ქრონიკა

ბ. ბ. დ. ქართველიშვილმა განიზრახა ჩვენის დიდებულის პოეტის შოთა რუსთაველის «ვეფხვის ტყაოსანის» ჩინებული გამოცემა. წიგნი უნდა იყოს დიდის ფორმატისა, მშვენიერს ქაღალდზედ დაბეჭდილი, ძვირფას ინგლისურს ყდაში, სურათებითა და ავტორის პორტრეტით შემკული. ამ გამოცემისათვის თავდარიგს კიდეც შესდგომიან. ტექსტი შესწორებული იქმნება იმ ვარიანტებზე, რომელნიც «ვეფხვის ტყაოსნის» კომისიამ ამოსწერა. სურათების დახატვა უფასოდ უკისრია გამოჩენილს მხატვარს ზიჩის, როგორც ამას პეტერბურგიდამ ტელეგრამით გვაცნობებენ. ეს სურათები შემდეგ სამზღვარს გარეთ ამოიჭრებიან. ამავე გამოცემისთვის შეუკვეთნიათ აგრეთვე საგანგებოდ ასომთავრული ასოები მხატვრობით.

ორშაბათს, ხუთს მარტს, მოხდა სხდომა თბილისის საბჭოსი, რომელიც შეეხებოდა ქალაქისაგან გამართულს პირველ-დაწყებითს სასწავლებლებს. ამ სხდომაზედ განიხილეს წინადადება ბ. გუბერნატორისა შესახებ იმისა, რომ ქალაქის სკოლები ექვემდებარებოდეს ერთს პირს და არა სამასწავლებლო კომიტეტს, როგორც კოლეგიურს დაწესებულებას, რადგან ერთი პირი უნდა იყოს პასუხის-მგებელი მთავრობის წინაშეო. მეორე წინადადება, რომელიც საბჭომ განიხილა, იყო შესახებ რუსული ენის სწავლებისა ამ სასწავლებლებში მმართებლობის პროგრამაზედ. პირველი წინადადება კრებამ ერთხმად უარჰყო; ხოლო მეორეს შესახებ გადასწყვიტა ერთის წლის მიმატება კურსისათვის, რათა ამით მოთხოვილება ბ. ოლქის მზრუნველისა შესახებ 2½ წლის განმავლობაში რუსულის ენის სწავლებისა შეწყნარებულ იქმნას და თითონ სკოლების პედაგოგიურს დაწყობილებას არა ევნოს-რა.

სოფ. წყალტუბოდამ (ქუთაისის მაზ.) გვწერენ, რომ იქაც გაჩენილა ავადმყოფობა. თვე-ნახევარში ეს კომლზე ცხრა სული მომკვდარა და ცამეტიც მძიმე ავადმყოფი ყოფილა. ყვავილიც გაჩენილა იქ, მაგრამ, რა კი ექიმს მალე მიუხედავს, ხალხი თურმე ადვილად ხდილობს.

ბურიიდამა გვწერენ, რომ იქ ერთი თანამდებობის პირი, რომელთანაც ხალხს ხშირადა აქვს საქმე, ისე გაუტაცნია მხიარულ ცხოვრებას, რომ თავის მოვალეობას სრულიად გულს ვეღარ უდებს და მასთან საქმის მქონეთაც ხშირად უსიამოვნებას აყენებსო. ამ გვარი ამბავი დამართვნია თებერვალში ერთს ახალგაზდა აზნაურიშვილს, რომელიც საქმისთვის მისულა, მაგრამ ცემა-ტყეპით კი გაუსტუმრებიათ.

ბაზეთის «Юужный край»-ს სიტყვით, ხარკოვზედ გამოუვლიათ 52 კომლს ნემეცს—კოლონისტებს, რომელნიც კავკასიაში მომავალებულან. ეს ნემეცები წამოსულან ტირასპოლის მაზრიდამ მამულის უქონლობის გამო და კავკასიაში კარგი მამულები წინდაწინვე შეუძენიათ.

## «დროების» ფელეტონი, 7 მარტი.

### მიწის მფლობელობა ჩვენში.

**წერილი ივრის ხეობიდამ.**

აქაურ მიწის მფლობელობაზედ არა თქმულა-რა ჩვენს ლიტერატურაში, თითო-ოროლა სიტყვის გარდა. შემთხვევამ მომცა საშუალება ორიოდე ცნობა შემეკრიფა ამ საგანზედ და, მგონი, არ იყოს მომეტებული გაეუზიარო ეს ცნობები «დროების» მკითხველებსაც.

ივრის ხეობაში მიწის მფლობელობა ორგვარია: არიან მიწები, დაჩემებულნი, დასაკუთრებულნი, ანუ, როგორც ხალხი ეძახის «საბლის მამულები» და არიან კიდევ სათემო მიწები, არავისგან არ დაჩემებულნი, რომელნიც შეადგენენ ან მთელი ერთი სოფლის კუთვნილებას, ან რამდენიმე სოფლისას ერთად. «საბლის მამულები» უფრო სოფლების ახლო-მახლო, გარეშემო მდებარეობენ და სათემოები კი—მოშორებით. სოფლის ახლო-მახლოც ჰნახავთ სათემო მამულებს, მაგრამ ძალიან იშვიათად. ივრის-ხეობაში ხშირად ისეთი სოფელი შეგხვდებათ, საცა ერთი ფეხის გადადგმა სახნავი ალაგიც არ არის დაჩემებული (მაგ. სართიჭალა), მაგრამ უმეტესს ნაწილს სოფლებში ერთი ნაწილი მინდვრისა დაჩემებულია და შეადგენს გლეხთა კერძო კუთვნილებას, მეორე კი ისევ სათემოდ არის გაშვებული. არ შეიძლება ზედ მიწევნითა თქვას კაცმა, სათემო მიწებია მეტი, თუ დაჩემებული, «საბლის მამულები». ზოგს სოფლებში სათემოდ მიწებია მეტი, ზოგში «საბლის მამულებია». საზოგადოდ კი, მგონია, უფრო სათემო უნდა აჭარბებდეს «საბლის მამულს». «საბლის მამულებიც», როგორც გლეხები ამბობენ, უწინ სათემოები ყოფილან და მერე დაჩემებულან. როდის და რა ნაირად დაჩემებულან, ეს კი აღარ ახსოვთ. ს. პატარძეულში კი მითხრა ერთმა ბერიკაცმა: «პაპი-ჩემისაგან გამიგონია ჩემს პატარაობაში, შაჰ-აბაზ-ყეენი რომ შემოესია საქართველოს და წალეკა ჩვენი ქვეყანა, მაშინდელი დაჩემებულია ეს მიწებიო». ესენი დაჩემებულია ძველი, დიდი ხნის მოსული გვარებისაგან; ახალ მოსულს ხალხს კი, რომელიც კარგა ბლომად არის აქაურ სოფლებში, არა აქვს მათში მონაწილეობა, გარდა თითო-ოროლა, სყიდვით შეძენილი, ღლიური მიწისა. ზოგი ამ მიწებიდამ არ არის გაყოფილი გვარეულობის წევრებ შორის, არის საგვარეულოდ და სარგებლობენ განურჩევლად წევრნი მემკვიდრე გვარეულობისა; სხვა გვარის კაცს კი არ შეუშვებენ მოსახნავად, თუ არა ღალით. უმეტესი ნაწილი კი ამ მიწებისა გაყოფილია ყველა წევრებ შორის. ხვნის დროს ყველა თავთავის მიწასა ჰხნავს; თუნდა არ მოჰხნავს, სხვა ვერავინ შეეცილება, ვერ მოუხნავს. ამ მიწების გასყიდვაც შეიძლება, მხოლოდ ერთმანეთში. სხვა სოფლის კაცს ვერ მიჰყიდიან. როცა ეს მიწები მოიმკება და მოიცლება, მაშინ პატრონს არ შეუძლიან დაუშალოს თავის მიწაში საქონლის გაშვება და ძოვება, როცა ვინმე მოიწადინებს. უმეტეს ნაწილად ეს მიწები არ არის შეღობილი; სოფლის ახლო-მახლო ეზოებთან მდებარე ნაფუძერები კი თითო-ოროლა შეღობილია და იმაში აღარც სხვისა საქონელს უშვებენ.

ამ მიწების გარდა, როგორც ზევითა ვსთქვი, არიან კიდევ სათემო მიწები, რომელნიც შეადგენენ მთელის სოფლის კუთვნილებას, ხშირად რამდენიმე დიდი სოფლისას ერთად. მაგ., სოფლებს: საგარეჯოს (900 კომლამდე), ნინო-წმინდას (120 კ.), ბიორგი-წმინდას (140 კ.) და სხვ. სათემო მინდორი აქვთ ეხლაც გაუყოფელი; პატარძეულს (300 კ-მდეა) და სოფ. ბერთუბანს (125 კომ.) ჰქონდათ აქამდის სათემო მინდორი გაუყოფელი და მხოლოდ ორიოდე წლის წინად გაიყვეს. შენ-ჩემობა შესახებ ამ სათემო მამულებისა არ არსებობს. წრეულ ეს მიწა მოხნა ერთმა გლეხმა, მემრის შეუძლიან იგივე მიწა სხვამ მოხნას. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ათეულებს გადაჰყრიან მიწიდან და ისე მოუხნავენ. ერთად ერთი საბუთი მოხვნისა არის მისწრება. ხვნაში გუთნები გადიან ერთ დანიშნულს დროს. ყველა მინდვრის თარგთან მთელის სოფლის გუთნები მიდიან ერთად და რაკი მივლენ, მაშინ კი—ვინ წინა და ვინ უკან. ვინც რომელ მიწას მიასწრობს, ჯერ შემოიკვალავს, ანუ, როგორც აქ ამბობენ, «შემოჰსარყავს», რამდენსაც მოასწრობს და მერმე ჰხნავს. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ზოგი შემოიკვალავს სიხარბით იმოდენა მიწას, რამოდენაც ერთს არ ერგება, და ზოგი კი სულ ცარიელი რჩება. უკანასკნელთ შეუძლიანთ, ამ შემთხვევაში, გუთნის დედებთან და იმათ უსტაბაშებთან იჩივლონ; ესენი უჩენენ სამართალს, რომელსაც უწინ ყველანი ემორჩილებოდენო, ამბობენ, მაგრამ ეხლა კი ზედაც არ შეჰხედვენ ხოლმე ასე

## «დროების» კორესპონდენცია.

**რაჭა, 27 თებერვალს. ქვემო-რაჭაში ბატონ-ყმობის გაუქმების დროიდგან მომრიგებელ შუამავლად ბძანდება ბ. ა. ჯ. მებატონეებს და გლეხებს დიდი იმედი გვქონდა, რაკი ეს ბატონი შორის ქვეყნიდგან არის და რაჭაში მონათესავენი არ მოეძებნებოდა; ჩვენი საქმეები წმინდად, ენერგიულად და სამართლიანად წავლენ-თქო. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ მას საქმიანობა არა გამოუჩენია-რა.**

**აი, მაგალითი: დებულების გრამოტების შედგენის დროს და მის შემდეგ მებატონეებისაგან ჩვენ, დროებით გლდებულთა გლეხთა, ბევრი მიწა მამული გვაქვს მოცემული, მაგრამ ამ მამულებზედ მომრიგებელი შუამავლისაგან არავითარი საბუთები არ მოგვცემია, რომლის ძალითაც შესაძლებელ იყოს დოკუმენტების მიღება და მფლობელობაში შესვლა. ამას გარდა, ქვემო რაჭის დროებით გლდებულ გლეხებს სამი ათასზე მეტი ძველი შინაურული ნასყიდობა გვაქვნია, რომელნიც უნდა შინვე გაარჩიოს და გარდასწყვიტოს, მაგრამ ყოველ ეამისათვის ჯერ სული არ უსლია, თუმცა თხოვნამ ჩვენც გაგვაჯერა და ისიც.**

**კიდევ კარგი, რომ მებატონეებთან კრიგდებით და ვიხსნით ადგილ-მამულს, მაგრამ აქაც გზაზედ მომრიგებელი შუამავლის მწერლები გადაგვეღობებიან ხოლ-**

მე, რადგან უმამათოდ მამულების დახსნის პირობებს თითქმის სრულიად ძალა არა აქვთ.

რომელ გლეხსაც კი «ნალედში» აქვს მიჩენილი მის სარგებლობაში მეოთხე 8 ნოემბერს 1865 წელს მამული, იმათ რა უნდა; თუ გინდ შეამაკვლევა არ გაარჩიოს მათი ძველი ნასყიდობები, მიწებს მებატონე კერ ჩამოართმევს და შესყიდვის უფლება ოთხელ აქვსთ. მაგრამ ჩვენა კარგ გაჭირვებულნი და წყალ-წაღებულნი—ის დროებით ვალდებული ნაუმეკები, რომელთაც გარდა სამოსახლოისა და ვენახისა, ყველა მიწები ჩამოჭრილი გვაქვს და საზიარდაც ველარ გვოკულობთ, შეგჩერებიგარ მხოლოდ ჩვენს ძველ ნასყიდობებს, რომლებითაც ძველს დროში შეგვიძენია ის ჩამოჭრილი მიწები და რომელთა სანუოებიც საჭიროა მალე გაირჩეს.

მართლაც, გეიან რომ შეუდგენ ამ საბუთების განრჩევას, სამნელო იქნება იმ ჩამოჭრილთ მიწების ჩვენდა სასაკუთროდ დატოვება, იმიტომ რომ იმ ნასყიდობებში მოხსენებული პირები, რომელნიც გამყიდველები, ისე მოწმეები, ოთხელთვის ცოცხლები არ იქნებიან და იმ შემთხვევაში, თუ მებატონე კერ იცნობს მათ ხამდელ ნასყიდობებდ, სიდგან შეიტყობს შეამაკვალი და ანუ ვის ჭკითხავს მიწები მართლა მოგვეპოებია, თუ არა.

დროების ვალდებული გლეხი გ. ჯ.

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო!

**რადგანაც დღევანდელს თქვენს გაზეთში დაბეჭდილია ბატონის კონსტანტინე ყიფიანის წერილი, გთხოვთ ეს წერილიც «დროების» შემწეობით გამოაცხადოთ.**

**უმორჩილესად ვთხოვ ბატონს კონსტანტინე ყიფიანს წარმოგზავნოს ყოველივე ქადალდები, მიწერ-მოწერა, ბეჭედი და რაც მასთან დრამატიულის საზოგადოების კუთვნილებაა ჩემს სახელობაზე ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Давиду Ивановичу Авалову.**

დავით ავალოვი.

6 მარტს 1884 წ.
ტფილისი.

## პასუხი ბ. ანდრია ქაპანაძეს.

(იმის წერილის გამო გამსესხებელ-შემნასველ ამხანაგობაზედ).

ბ. ანდრია ქაპანაძემ ამ რვა წლის წინად, თავისი ნათესავის შეძწეობით, იყიდა საგარეჯოს მახლობლად, ს. ნინო-წმიდაში, საეკლესიო ზვარი, რომელიც თვითონ საზოგადოებისთვის ძლიერ საჭირო იყო და არის სკოლის და კანცელარიის ადგილად. ქაპანაძე ამის შემდეგ მალე დაუახლოვდა საგარეჯოს ამხანაგობეებს, ვითომც როგორც საზოგადო კაცი და კეთილის მოსურნე. ამან თავის სახელზედ ისესხა ივრის ბანკიდგან 75 მან. და ცოლის სახელზედაც 75 მან.—სულ 150 მან. ამ ფულიდგან დეპოზში შემოიტანა წილად 50 მან. ფულების მილებისათანავე ქაპანაძე სამ წელიწადს საცალა გადიკარგა. ბანკის გამგეობამ ვადის გასვლის შემდეგ რამდენჯერმე მიმართა ბ. ქაპანაძის ცოლს ეკატერინეს ფულების შემოტანაზედ, მაგრამ იმას არა ჰქონდა სახსარი ფულის გადახდისა.

გამგეობა ელოდა ქაპანაძეს სამ წელიწადს და როდესაც მოვიდა, გამგეობამ იმასაც რამდენჯერმე მოსთხოვა სესხი, მაგრამ იმან კიდეე სხვადა-სხვა ტკბილი სიტყვებით და დღეს-ხვალიობით დაითათბირა გამგეობა და ამ გვარად ვალი აქამდინ ისევ იმაზედ არის, თუმცა ვადა, დიდი-ხანია, გავიდა:

1884 წ. იანვრის 22 რიცხვს, როდესაც ივრის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობას ჰქონდა დანიშნული ყრილობა, იმ დღეს ანდრია ქაპანაძე რალაცა საქმისთვის გადმოსულიყო საგარეჯოში. გაიგო თუ არა გამგეობამ ქაპანაძის საგარეჯოში ყოფნა, მოიწვია იგი, რომ მასთან რითიმე საქმე გაგვეთავებინა. ქაპანაძემ აქაც კიდევ თავისებურათ მოახსენა გამგეობას: «ფული!? უკაცრავად, დაგვვიანეთ; ფული აქ გახლავთ და, ყრილობა გათავდება თუ არა, მოგართმევთ». გაიხსნა ყრილობა. როდესაც გამგეობამ თავისი წლიური ანგარიში წარუდგინა ყრილობას და გამოუცხადა, რომ ეს ანგარიში შეუმოწმებელია ზედამხედველი კომიტეტისაგანაო, ყრილობამ მოითხოვა ზედამხედველი კომიტეტის წევრნი, მაგრამ ორის მეტი არ მოვიდა. მოსთხოვეს მათ პასუხი და იმათ მოახსენეს—ჩვენს თავმჯდომარეს არ უცნობებიაო და მის გამო ვერ შეავამოწმეთო. დაიწყო ქაპანაძემ—რატომ ცხვედაძე არ გატყობინებდათო? მე ვუპასუხე—თუ თქვენ გესმით წესდების ძალა, გამგეობა მოვალე არ არის აცნობოს ზედამხედველს კომიტეტს; ისინი ყალბებულნი-ორიან თვითონ შეიკრიბენ და შეამოწმონ ანგარიშები თავმჯდომარის მოწვევით. ხალხმა ამ დროს შეჰქმნა ყვირილი—ანგარიშები წაგვიკითხეთ, ჩვენ გამგეობას ვენდობითო.

ამის შემდეგ, წაიკითხეთ ანგარიში, რომელიც თვითონ ყრილობამ განიხილა, დაამტკიცა და განაჩენიც დაიწერა. მაგრამ მაინც ზედამხედველი კომიტეტის ნაცვლად ყრილობამ დროებითი კომისია დანიშნა, რათა მათ გადაეცლოთ თვალი ყველა თვიური ანგარიშებისთვის და შეემოწმებინათ; ერთი თვე ვადაც მისცა და, უკეთუ კომისია რაიმე დაუდევრობით არ შეამოწმებდა გამგეობას, სთხოვეს საზოგადო ყრილობის მოწვევა. ანდრია ქაპანაძე კი, რაც მოხდა ყრილობაზედ, სულ სხვანაირად მოუთხრობს მკითხველებს. იგი ამბობს, რომ კომისიის წევრებისთვის, რომელნიც მას ქალაქში უნახავს, ეითომ მე არ მეცნობებინოს აქნობამდინ. ქაპანაძე რას ფიქრობს: ცხვედაძე განა მოვალეა შეატყობინოს? ყველა კომისიაში აღმორჩეულნი ყრილობაზედ დესწრენ, გარდა ერთისა, და, რაკი იკისრეს საქმის ხელის წაღება, თვითონვე ერთმანეთში უნდა აღმოერჩიათ თავსმჯდომარე და ისე შესდგომოდენ საქმეს. თუ, მართლა, ქაპანაძეს უთხრეს, ეს იმას წააგავს, რომ კაცი რიყეზედ მიდიოდა და ქვებს ვერა ხედავდაო. ისინიც ქაპანაძის ჭკუისა ბძანებულან, როდესაც კომისიამ ანგარიშები კიდეც შეამოწმა (?).

როდესაც შეიტყო ხალხმა, რომ ანდრია ქაპანაძეს და მის ცოლს ეკატერინეს ბანკიდგან ნასესხი 150 მან.

---

რომ ამისთანა საქმეები უფრო ხშირად ძალით სწყდება.

ერთმანეთის ნახნავებს გლეხები ჰხნავენ, ხოლო სხვის ნასიმინდარს და ნაფეტვარს კი არ მოჰხნავენ. ნასიმინდარს იმისთვის არ მოუხნავენ, რომ დიდი შრომა და ჯაფა უნდა ვენახიეთ; მთელი ზაფხული შიგ უნდა იტრიალოს გლეხმა თოხით; ნაფეტვარს კიდევ იმიტომ, რომ ნაფეტვარში ორჯერ იციან მოსავლის მოყვანა მოუხნავად. მაგრამ ამაებს არ მოუხნავენ პატრონს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყოველ-წლივა ჰხნავს იგი. მაგრამ თუ ერთი თავი გაანება, მაშინვე მოუხნავს, ვინც მიუსწრობს. ბლეხები არ ეცილებიან აგრეთვე ისეთი მიწის პატრონებს, რომელთაც გაუტეხნიათ სათემო ახო, კარგა ხნის დაყამირებული მიწა, ანუ სხვა რაიმე დიდი შრომა გაუწევიათ და ამაგი დაუდვიათ მიწისათვის.

სათემო მიწებზედ გლეხები სრულებით არა ზრუნავენ. პატივ-შეყრილს თავის დღეში ვერა ჰნახავთ სათემო მიწას. ამ მიწებსა ჰხნავენ ყოველ-წლივ ზედი-ზედ, მინამ მოსავლის მოყვანა შეუძლიანთ. ერთს წელიწადს ანეულად მოჰხნავენ, მეორე წელს ნაოშად, და მესამე წელს, რაკი მიწაც დაიღლება, შეასვენებენ. «რისთვის გავწიო შრომა და ჯაფა, როდესაც მემრის იქნება სხვამ მოხნასო», ამბობენ გლეხები და ისე ეშურებიან ამ სათემო მიწებს, როგორც ნაღალავებ და ნაქირავებ მიწებს. მარტო დაჩემებულს მიწას უფთხილდება გლეხი და არაოდეს ყოველ-წლივ ზედიზედ არ მოჰხნავს, თავის დღეში ნაოშადაც არ გაიმეტებს.

სათიბის ხმარება იციან ამ ნაირად. ერთს ნაწილს სათემო მინდერისას, საცა უფრო კაი ბალახი იცის დაჰყორულვენ მარტის გასულს ან აპრილის დამდეგს. თიბათვეში, როცა მოვა დრო გათიბვისა, მამასახლისი გაჰხსნის ყორულსა და ყველანი მაშინ გადიან სათიბად, რომ ერთად დაიწყონ; ყველა ჯერ წრეს შემოავლებს, ანუ «შემოჰსარყვავს» თავის ხვედრსა და მერე სთიბავს. ზოგი პირველს დღეს იმის მეტს არას აკეთებს, რომ ჰსარყავს. სხვები დაჰხედავენ და თუ გლეხს კუთვნილზედ მეტი შემოუსარყავს, აღარ დაგიდევენ წრესა და «სარყასა», მიადგებიან და გაუთიბავენ. ვინც დანიშნულს დროზედ ადრე გავა სათიბში და დაიწყობს თიბვასა, იმას გათიბულს ბალახს წაართმევენ, ან სხვანაირად გადაახდევინებენ ხოლმე. უშლიან ეგრეთვე ბევრი მუშების დაქირავებას და შველას*).

ამნაირად ხმარობენ ყოველ სასოფლო კუთვნილებას: ჩალას, ტყეს, საფიჩხეებს. ვიდრე ტყე შეიკვროდა, ჩვენში ტყის ხმარებაც ესე მისწრებით იცოდენ. წრისა და სარყის მაგვერად ხევსა ჰკეკნიდენ. წავიდოდა გლეხი ტყეში, დაჰკეკნიდა ხეებს და მერე აღარავინ არ შეეცილებოდა.

საძოვრისათვისაც ცალკე განსაკუთრებითი ადგილის გაშვებაც, რომ არ შეიძლებოდეს იმ ადგილში ხენა, არ იციან. საძოვრად ხმარობენ გამოუსადეგარს და უვარგისს ადგილებს და ეგრეთვე შესვენებულს, მოცლილს და მოუხნავ მიწებს. საძოვრით სარგებლობს ყველა გლეხი: რამდენიც უნდა და შეუძლიან, იმდენს საქონელს იყოლიებს, ხმას ვერავინ გასცემს. თუ მომეტებული საძოვარი აქვს სოფელს, სხვაგნებურს საქონელს დააყენებს «საბალახით», ე. ი. საძოვრის ფასს გამოართმევს.

*) რაკი გათიბავენ ბალახს და დაბულულებენ, გუონებსაც თან შეაყოლებენ, თივის წაღებასაც არ და

თავისი სარგებლით და ჯარიმით შემდგარა ოც-და-რვა თუმანი, ერთხმად ყვიროდენ—«ვინ არის ქაპანაძე, ვინ არის მისი ცოლი, რომ ხუთი წელიწადი ვადა გადაატარეს და წესდების ძალით არ გადაახდევინეთ? ბაადეთ კარში და დაითხოვეთ ამხანაგობიდგან». ბაფითრებული ქაპანაძე ეღრიჯებოდა ხალხს—ფული აქა მაქვს, მისთვის გადმოველ, რომ წარმოვადგინოთ. «არა, შვილონიას, თუ ჩვენ ერთ წელიწადსაც არ გვაცლიან, შენ რად დაგაცალეს ხუთი წელიწადი»,—გაიძახოდა ხალხი. ხალხმა ის არ იცოდა, რომ გამგეობამ ბევრგვარი ლონის-ძიება იხმარა ფულის გადახდევინებაზე და ვერა დროს ვერ მოიგდო ხელში ქაპანაძე, რომელმაც ეხლა კიდეც მოატყუა ხალხი და დღესაც არ წარმოუდგენია ფული. რასაკვირველია, მეორე ყრილობაზედ იქნება გარჩეული—თუ რა ლონის-ძიება ვიხმაროთ მის ფულის გადასახდევინებლად. ქაპანაძეზედ მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ის ძალა-უნებურად გამოესალმება ორივე ჩვენ ამხანაგობას; იმან მისთვის მოისურვა—გაზეთით ვისმე ლაფი წასცხოს, რომ ვითომ და რა არის—საზოგადოებისთვის თავი დასდო. ის ბევრსა ილობს, ცხვედაძეს და ბლაღოჩინ ედორე ბულისოვს, როგორც ახ ოგადოების წარმომადგენელთ, ხელი შეუშალოს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ მისი ცდა ამაოა და სრულიად ვერაფერს გახდება.

ა. ცხვედაძე.

1884 წ.
ოქტომბრის 22.

## რუსეთი

ათის წლის წინად ერთი თვრიად საიმოვნო განკარგულება მოსდინეს; ამ განკარგულების ძალით ქალებს მიეცათ სამსახურის ნება დეპარტამენტებში; მაშინდგე მსურველთა რიცხვი კარგი ძალი აღმოჩნდა, და ქალები განწესებულ იქმნენ მწერლების თავისუფალ ადგილებზე. ამ დროს განმავლობაში მოსამსახურე ქალები რიგიანად და სინიდისიერად შრომობდენ და მით შოულობდენ დუმაპურს; რასაკვირველია, იმით აზრადაც არ მოუვიდოდათ, რომ ერთს მშვენიერს დილას მათ განდევნიან სამსახურიდგან, სამსახურის ნებას ჩამოართმევენ და ულუგმა-პურად დაგდებენ, მაგრამ მათი იმედი ფუჭი გამოდგა: ეხლა კარდაუწყვეტიათ ქალების სამსახურიდგან დათხოვნა იმ მოსაზრებისა გამო, რომ «ქალს უფრო შეშვენის ოჯახობა, კიდრე კანცელიარებში სამსახური». ჯერ-ჯერობით ქალები სრულიად დაუთხოვნიათ სახელმწიფო კონტროლის მეოთხე განყოფილებიდგან; იგივე კარდაწყვეტილება უნდა აღსრულდეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურე ქალებზედაც.

— ორი წლის წინად განიძრახეს სამრეკლო სკოლების აღდგენა რუსეთში; თავის დროზე ბევრს დაპირკობდენ ამ საგანზე; ბევრი ითქვა, როგორც სამრეკლო სკოლების სასარგებლოდ, აგრეთვე მათ წინააღმდეგაც. რადგანაც თვით საგანი ერთობ რთული იყო, ამიტომაც მისი შემუშავება მიანდეს კომისიას; კომისიას უკვე დაუბოლოებია საქმე, მაგრამ კარდაწყვეტილი ვერა დაუდგენია რა. ამის და მიუსედავად ძალიან გულ-მხურვალეთ ეკიდებიან საქმეს; მაგრამ საქმის დასაბრკოლებელი მიზეზი უფულობაა, ამიტომაც საჯარო განათლების სამინისტროს დაუნიშნავს ოთხელ წლიურ სესხად ასულიერო უწყებისთვის 55.000 მან. რადგანაც ეს ჯამი ერთობ მცირეა, ამისათვის განძრახვა აქვთ ითხოვონ სესხი საჯარო საზინდგან.

— რუსეთში დონის მხარეში მომხდარა არეულობა გლეხების შორის. აი რას გვეუბნებიან ამის შესახებ «Неделя»-ში: დონის ოლქის ერთი სოფელი ერთიანად გარემოცული ეოფილა მებატონეების მამულებით; სოფლის «ნადელი» კი გამჯნული არა ეოფილა, რისგამოც გლეხები მეფლობდენ მიწას ძველებურად, ე. ი. ნაგულ-ნაგულად. სანამ ძველი მებატონები ყოფლობდენ თავიანთ მამულებსა, მანამდისინ გლეხები, როგორც იყო, ცხოვრობდენ და სულს იბრუნებდენ, მაგრამ დრო შეიცვალა, და ძველ მებატონეთა მაგიერ ახალმა დრომ სოფლელებს მოგვარა ურიები, ნემცები, კაცრები და «ქვეყნის-მკვამლები». ამათ, რასაკვირველია, ახალი წესები დაადგინეს: მაგალითად, გლეხებს უნდა ეძლიათ გადასასადი ახალ მებატონეთა მამულებში გასაკვლელად. რასაკვირველია, ეს არ მოეწონათ გლეხებს, რადგანაც მათ ყოველს მხრით გზა შეეკრათ, გარდა ამისა, ძველ მებატონეთ მომაგიერეთ ასწიეს არენდის ფასი იმ მიწებზე, ურომლისოთაც გლეხებს გაძღება არ შეეძლოთ. ისინი მიწას აძლევდენ რომელიმე გლეხს მხოლოდ იმ პირობით, თუ რომ ის სხვის მიწას არ დაიქირავებდა; წინააღმდეგ შემთხვევაში გლეხს პირობის ძალით არა აქვს ნება მიწის პატრონის მამულებში გავლისა. მოკლედ რომ ვსთქვათ, გლეხებს ყოველივე ნაირი გაჭირვება მიაყენეს. რასაკვირველია, გლეხებმა ვერ გაუძლეს ამ გვარს შეკიწროებას და შეძლებისა დაგვარად შურს უგებდენ თავიანთ შემავიწროებელთა. გლეხებმა ხან ტყე აუოხრეს ამ უკანასკნელთ, ხან ბურით საესე ბოლები, ვაჭრებმა და ქვეყნის-მკვამლებმა იარაღი იხმარეს. ამ გარემოებამ რაოდენიმე კაცი იმსხვერპლა. გლეხები კიდევ უფრო აშფოთდენ, და არეულობა მოედო რაოდენიმე სოფელს. მოვიდა ოლქის უფროსი ურიადნიკებითურთ, მაგრამ საქმე კიდევ უფრო გაძნელდა, რადგანაც, გლეხების აზრით, მთავრობას შემავიწროებელთ მხარე ეჭირა. მთავრობა უკანკე დაბრუნდა; სალხმა კი საშინლად სტეა ზოგიერთა პოლიციელებს. საქმე იქამდისინ მივიდა, რომ მეძმულეები მოგროვდენ ერთად და შეიარაღებულნი ჩასაფრენ ერთს ადგილს; გლეხები მათ თავს დაესხნენ, ატეხა სროდა, რომელმაც კიდევ რაოდენიმე კაცი იმსხვერპლა. ორი დღის განმავლობაში საქმე ასე მიდიოდა. ბოლოს მოისმეს ჯარი რომელსაც აჯანყებულმა სალხმა წინააღმდეგობა გაუწია. რა მოხდა მერმედ, კორესპონდენტები არ იწერებიან; ის კი ვიცით, რომ «წესიერება» და «მშვიდობა აღდგენილ იქმნა.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

5 მარტს.

პოლტავა. საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს იმაზედ, რომ ხარკოვის ვაჭრების მეძიებლობა შესახებ ილინის იარმარკის ხარკოვში გადატანისა და უსპენსკის იარმარკის ვადის შეცვლისა უყურადღებოდ დარჩეს; ამ შუამდგომლობასთან ერთად ჰგზავნიან წერილსაც, რომელშიაც მოყვანილია ის მიზეზები, რა მიზეზებითაც მეძიებლობა იარმარკის გადატანის შესახებ პატივსადები არ არის.

ოდესა. დღეს წავიდა ვლადივოსტოკში ორთქლის გემი «პეტერბერგი», რომელზედაც 675 სალდათია და 34,000 ფუთი ტვირთი. ეს გემი მიიყვანს სახალინში 38 ცოლს და 20 შვილს კატორგაში გაგზავნილებისას.

პარიჟი. თავადმა ორლოვმა ჩააბარა დღეს პრეზიდენტს გრევის თავის მიწოდების ქადალდები და ოთხშაბათს ბერლინში მივა.

სოფია. გუშინ მოვიდა აქ ბულგარიაში დანიშნული ახალი რუსეთის ელჩი, კაიანდერი; წინანდელი ელჩი იონინი ხუთშაბათს წავა პეტერბერგში.

ლონდონი. ბირჟაზე გავრცელებული ხმები, ვითომც ბლადსტონი სამსახურს თავს ანებებდეს, უსაფუძვლონი არიან.

მადრიდი. ზორილის კომიტეტის მდივანი და ერთი მდვდელი დაატუსალეს მმართებლობის წინააღმდეგ ქადაგებისათვის.

კაირი. ადმირალმა ჰიუეტმა გამოაცხადა, რომ ვინც ოსმან დიჭმას დაიჭერს, იმას 5,000 დოლარი მიეცემა საჩუქრად. დაათვალიერეს ნილოსის გაყოლება ბერბერსა და ხართუმს შუა და აღმოჩნდა, რომ ამ ადგილას აჯანყებულები აღარ არიან.

ათინა. შაბათს, პალატის შენობის წინაშე, მმართებლობის წინააღმდეგ მანიფესტაცია მოხდა; პოლიციამ დაუბრკოლებლივ გაფანტა მუკირალი ხალხი. პალატაში პოლიციის მოქმედება ძლიერ განკიცხეს; ხმებია, რომ გამოძიება იქნება პოლიციის შიერ თავის უფლების გადაჭარბებისაგამო.

### «დროების» ფოსტა.

ი. ლ—ძეს. თქვენი აზრი ფ—ზედ სრულიად საფუძვლიანად მიგვაჩნია, მაგრამ ჩვენ ისეთს მდგომარეობაში ვართ, რომ თეორიულ სდას რომელსამე პირზედ თავი უნდა დავანებოთ და დროის შესაფერად მოვიქცეთ.

ბაბა-ხანს. თქვენს ამონაწერებში პოეზია კოჭლობს. თუ უფრო ლაზათიანი ლექსით წარწერილები შეგხვდათ სადმე, გამოგზავნეთ და თან საკმენტარიო ფაქტებიც მოადევნეთ.

მეგ—ლ.ის. თქვენი ლექსი არ დაბეჭდება.

წყ—ტრის მასწავლებელს. თქვენი ნომრები მაზრის უფროსის კანცელარიაში მოიკითხეთ, იქ იქნება. თუ იქაც არ არის, ფოსტის კანტორიდამ აიღეთ პატარა ბარათი იმის თამბაზედ, რომ ესა და ეს ნომრები არ მოგსვლიათ და გამოგვიგზავნეთ. რამწამს ეს მოგვივა, მაშინვე დანაკლისს შეგისრულებთ.


## განცხადებანი

—

**სომხური სასულიერო სემინარიის ნერსესიანთა მზრუნველობის** რჩევაში 21-ს რიცხვს ამა მარტისას, საღამოს 8 საათზე, მოხდება ვაჭრობა (განუმეორებლად) იჯარით გაცემაზე **ერთის დუქნისა ოთახითურთ,** რომელიც იმყოფება თელეთში სომხის ეკლესიასთან. პირობების ნახვა შეიძლება მზრუნველობის კანცელიარიაში ყოველ-დღე, გარდა კვირა და სატაბელო დღესასწაულებისა, დილის 10 საათიდამ 12 საათამდინ.

(3—1)

ნერსესიან სომეხთა სასულიერო სემინარიის რჩევაში 14 ამა მარტისას, საღამოს რვა საათზე მოხდება ვაჭრობა (განუმეორებლად) იჯარით გაცემაზე ერთის დუქნისა და სარდაფისა, რომელიც განსვენებული გრიგოლ შერგილოვისაგან არის შეწირული და რომელიც იმყოფება სომხების ბაზარში № 5. პირობების სინჯვა შეიძლება მზრუნველობის კანცელიარიაში ყოველ-დღე, გარდა კვირა და უქმე დღეებისა, დილის 10 საათიდამ 12 საათამდინ.

(3—3)

საკუნკურსო გამგეობა შეუძლებელი ვალის პატრონის **ბაბრიელ იაგორის-ძის შადინოვის** საქმეებისა ამით აცხადებს, რომ, თანახმად მოვალეთა საზოგადო კრების გარდაწყვეტილებისა, 10 თებერვალს დანიშნულია გაყიდვა, ნებაყოფლობით ფასად, შეუძლებელი შადინოვის უძრავ ქონებათა, რომელთაც შეადგენენ: ა) ერთი სახლი დოქტორების ქუჩაზედ; ბ) ერთი დნქანი სომხების ბაზარში და გ) ნახევარ დუქანი დახურულ ბბზარში ქ. თბილისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაყიდვა მოხდება ამ წლის 18 მარტს შუადღის 12 საათზე საკონკურსო გამგეობის სადგურში ირაკლის ქუჩაზე სახლში № 12, ნაფიცი ვექილის მელეგის სადგურში. ვისაც ჭსურს იყიდოს აღნიშნულნი მამულნი, შეუძლიანთ მიმართონ ცნობებისთვის ყოველ-დღე სადამოს 5 საათიდამ დაწყებული 8 საათამდინ საკონკურსო გამგეობის თავმჯდომარეს გ. ნ. მელეგის, და ამასთანავე შეუძლიანთ სინჯონ გასასყიდი მამულები ადგილობრივ.

თავმჯდომარე კონკურსისა გ. მელეგი
კურატორი ბ. ლებედინსკი.
(3—2)

## ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდეკ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოზები ჩანგლებითა, ფანდოსი, დასადგმელი, ბირისსაბანი, სტაქნები, სუფრაზნიკი, საწყაო, სკები, რიუმკები, გრავინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძეკვები, სამარილეები, კარჩიცის სუფრეკები, უნაგირები კატისა და ქალისა, ალვირები, ხალისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ბიუები, ზარადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერხრუტები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, ბიგუდები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—73)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | | | მოსკოვის ჩაის | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 მ. | 10 კ. | | | 1 მ. | 40 კ. |
| — | — | 1 | 20 | — | — | 1 | 60 |
| — | — | 1 | 40 | — | — | 1 | 80 |
| — | — | 1 | 60 | — | — | 2 | — ,, |
| — | — | 1 | 80 | — | — | 2 | 50 |
| საუკეთესო | | 2 | — ,, | — | — | 3 | — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასადგმელები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქალალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხედ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ უკეთესური 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არავერს არ ისდის. (100—90)

## პ. წულუკიძის სტამბა

ქუთაისში

დაიბეჭდა და გამოვიდა ქართული

«კედლის კალენდარი»,

სადაც არის სომხური დღესასწაულების ცნობები და ისტორიული შემთხვევები.

ფასი სამი აბაზი

ას-ასობით მყიდველებს წესიერი პატივი.

—

ისყიდება

«ვეფხის ტყაოსანი» შ. რუსთაველის თხზულება სურათით, ათი შაური, უსურათოდ შვიდი შაური ას-ასობით მყიდველებს წესიერი პატივი.

## ინგლისური რკინის საწოლი



## სტამბა

ევთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის კვლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, ათიშებს, ბირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრექტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100—36)

## ჟურნალი „ივერია"

(წელიწადი მერვე)

ამ 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თვე და თვეე იმავე სახით და სიერცით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

### ხელის-მოწერა მიიღება

თბილისში: შავერდოვის საგენტოში და «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება სამონასტროვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლებში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან, სადაც ზედა სართულში «დროების» რედაქციაა და იქავ, შუა სართულში, რედაქცია «ივერიისა».

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, «წერა-კითხვის საზოგადოების» სკოლის მასწავლებელ მ. ნ. ნათაძესთან.

ფასი მთელის წლისა 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან.

ძალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ ჟურნალი: Въ Тифлисъ, въ редакцію журнала «Иверія».

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე.

## საგლობუსო კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქალალდი. ერთად-ერთი საგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ოკეანის „ხელისათვის"—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქალალდი, კანვერტები, რეკულები, ფაქი, კარანდაში, ბენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, ბორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ტარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, ბატარა სალესი, იატაგისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარეკები, სავარცხლები, ბეზმენნი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერბასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, ძეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, ბომბჩი, ქამრები, სარტულები. საუკეთური, ბრობკები, საბრობკები, კრანები, ფილტრები, შჩოტკა თავის. ტანისამოსის, ცხენის და ბატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საუქმო ქალალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—55)

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 მარტიდამ 1 აპრილამდე 1884 წ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გამომცხვარი შური რუსეთის ფქვილისა | — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: ბირველის სარისხისა | — | —1 | ბ. | 3 კ. |
| მეორისა | — | —1 | ბ. | 2½ |
| იმავე ფქვილ. თორნში გამომცხვარი: | | | | |
| ბირველის სარისხის | — | —1 | ბ. | 5 კ. |
| მეორისა | — | —1 | ბ. | 3½ |
| მესამისა | — | —1 | ბ. | 3 კ. |
| ჯვარის-მამის შური: | | | | |
| ბირველის სარის. დაკაში | | 1 | ბ. | 5 კ. |
| მეორის სარის. დაკაში | | 1 | ბ. | 4 კ. |
| მესამისა | — | —1 | ბ. | 3½ |
| ძროხის ხორცი: | | | | |
| ბირველის სარისხის | — | —1 | ბ. | 9 კ. |
| მეორის | — | —1 | ბ. | 8 კ. |
| სუკი . . . | — | —1 | ბ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | — | —1 | ბ. | 10 კ. |
| ღორის ღორცი: | | | | |
| ბირველის სარისხის | — | —1 | ბ. | — კ. |
| მეორის | — | —1 | ბ. | — კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით.

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილისა. (სამშაბათობით სჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა.

ფოთიდამ ბ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. დილისა. (პარასკევობით სჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Дозв. цензур. Тифлисъ, 6 Марта 1884 г. (ქ. ხელაძის სტამბა) Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ბ. ქორთველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.